RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ბაქოს ალლუმი სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური სირთულეების მანიშნებელია

რაჰიმ რაჰიმოვი

153

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

რაჰიმ რაჰიმოვი

ბაქოს ალლუმი სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური სირთულეების მანიშნებელია

153

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

აღლუმი

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი 2020 წლის 10 დეკემბერს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში სამხედრო აღლუმს დაესწრო, რომელიც 9-10 ნოემბერს რუსეთის შუამავლობით დასრულებულ ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის სომხეთზე გამარჯვების საზეიმოდ გაიმართა. რუსი ისტორიკოსი ანდრეი ზუბოვი მიიჩნევს, რომ ბაქოს აღლუმი „უფრო მეტად ახალი გეოპოლიტიკური ალიანსის დაბადების დღეს [აღნიშნავს], ვიდრე სომხეთზე გამარჯვებას“.[1] აღლუმის დასრულების შემდეგ რუსეთმა, თავის ჩვეულ სტილში, აკრძალა აზერბაიჯანიდან პომიდვრის იმპორტი, ხოლო რუსმა სამშვიდობოებმა ყარაბაღში, ქალაქ შუშის გარშემო, საქართველოს „ბორდერიზაციისმაგვარი“ სცადეს. აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიამ, სხვა მედიასაშუალებებმა და საჯარო პირებმა ფართოდ და მკაფიოდ დაგმეს რუსი სამშვიდობოების ეს საქციელი, როგორც ეჭვიანობა, რომ აზერბაიჯანმა აღლუმზე აჩვენა როგორ შეძლო რუსული წარმოების იარაღითა და სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი სომხეთის ხელში ჩაგდება და განადგურება თავისი შეიარაღებული ძალებითა და თურქული წარმოების ბაირაქტარის დრონებით.[2] ერდოღანი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ერთად ადევნებდნენ თვალს ბაქოს ცენტრალურ ქუჩებში თურქი და აზერბაიჯანელი სამხედროების საზეიმოდ ჩატარებულ მარშს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც კორონავირუსის შეზღუდვების მიუხედავად, მისასალმებლად მაინც გამოვიდნენ ქუჩაში. ეს ვითარება კარგად აჩვენებს, რომ აზერბაიჯანში რუსეთს, თურქეთთან შედარებითი, ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მოსკოვისგან განსხვავებით, რომელსაც აზერბაიჯანში წინააღმდეგობრივად აღიქვამენ, ანკარას მთელი ქვეყანა უჭერს მხარს. ცოტა ხნის წინ გაჟონილმა რუსულმა საიდუმლო მასალებმა ცხადყო, რომ მოსკოვისთვის ბევრად რთულია პრორუსული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და რბილი ძალის ინსტრუმენტების განვითარება აზერბაიჯანში, ვიდრე თუნდაც მტკიცედ პროდასავლურ საქართველოში[3].

რუსეთი-საფრანგეთი თურქეთი-დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ

ერდოღანის დასწრებას ბაქოში გამართულ აღლუმზე საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა, მისი განცხადებების გამო. პირველ რიგში, მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა, რათა კბილი გაეკრა სა-

ფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისთვის და ამავე დროს შეაქო „ვლადიმერ პუტინის პოზიტიური მიდგომა“ ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტისათვის „პოზიტიური მიმართულების“ მიცემისათვის. პროვოკაციულმა რუსმა პოლიტიკოსმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ სომხები, აზერბაიჯანელები და თურქები დაახასიათა, როგორც „საზარბაზნე ხორცი“ ბრიტანული ინტერესებისთვის. ცოტა ხნის წინ რუსეთის საგარეო სადაზვერვო სამსახურის მეთაურმა სერგეი ნარუშკინმა დაადანაშაულა „გარკვეული დასავლური სახელმწიფოები“ პუტინის შუამავლობით მიღწეული ზავის ჩაშლის მცდელობაში. წამყვანმა რუსულმა გაზეთმა „კომერსანტმა“ დაუსახელებლად მიუთითა წყარო რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებიდან, რათა ამ სახელმწიფოთაგან ხაზი გაესვა „კონკრეტულად დიდი ბრიტანეთისთვის“.[4] რამდენადაც მაღალი დონის კომუნიკაცია ანკარასა და ლონდონს შორის გააქტიურდა ყარაბაღის ომის დროს, რუსეთის მოკავშირედ პარიზი უფრო გამოიკვეთა. აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში BP-ის რეგიონულმა პრეზიდენტმა წერილი გაუგზავნა აზერბაიჯანის ხელისუფლებას, რათა გამოეხატა მხარდაჭერა „ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გაწეული ძალისხმევისთვის“[5]. შესაბამისად, რუსეთს აშფოთებს მზარდი კავშირები ევროკავშირის ორ არაწევრ სახელმწიფოს – დიდ ბრიტანეთსა და თურქეთს შორის. ამ განწყობას აძლიერებს ლონდონის განცხადება სამხედრო ბიუჯეტის მკვეთრი ზრდის შესახებ. ის ფაქტი, რომ ანკარა და ლონდონი აძლიერებენ უკრაინასთან სამხედრო-უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობას, კიდევ უფრო ზრდის რუსეთის შფოთვის საგანს. აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებას ყარაბაღის ბოლო ომში ხშირად უკავშირებენ თურქეთის, როგორც უმთავრესი მოკავშირის, ფაქტორს. ასეთმა მიკუთვნებამ შესაძლოა თბილისსა და კიევს გაუჩინოს ამგვარი მთავარი მოკავშირისა თუ პარტნიორის პოვნის სურვილი, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით. საქართველოსა და უკრაინის ტრადიციული მთავარი მოკავშირეები, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და შეერთებული შტატები, ძირითადად იხრებიან სტატუს-კვოს შენარჩუნებისაკენ, რათა არ მოახდინონ რუსეთის პროვოცირება. შედეგად, საქართველო და უკრაინა მათით ბოლომდე კმაყოფილი არ არიან. ამრიგად, ანკარა და ლონდონი დაინტერესებული არიან ჩაერიონ ამ კუთხით დანაკლისის შესავსებად[6,7]. მოსკოვი, რა თქმა უნდა, ფიქრობს, როგორ უპასუხოს ამგვარ სცენარებს, მათი განხორციელების შემთხვევაში.

თურქეთი იგებს, ირანი აგებს

მეორე მხრივ, ერდოღანმა აღლუმზე თავის მიმართვაში აზერბაიჯანული ხალხური სიმღერიდან სიტყვების ციტირებით დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია ანკარასა და თეირანს შორის, რადგან ამ უკანასკნელმა ეს ირანულ ტერიტორიაზე პრეტენზიის გამოცხადებად აღიქვა. ამ ფაქტზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა მკაცრი რეაქცია გამოხატა თავისი Twitter-იდან. თურქეთის ელჩი გამოიძახეს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც უთხრეს, რომ „ტერიტორიული პრეტენზიების, ომის გამჩაღებლებისა და ექსპანსიონისტების ერა დამთავრებულია“[8]. თეირანის ეს მკაცრი რეაქცია ერდოღანის წარმოთქმულ ციტატაზე ორი ფაქტორით არის გამოწვეული. ერთი მხრივ, ერდოღანის ციტირების საპასუხოდ, აზერბაიჯანული საზოგადოების კეთილგანწყობა ირანისთვის მკაცრ რეალობაზე მიუთითებს: სუნიტური თურქეთის რბილი ძალა და მეგობრული აღქმა, შიიტური ირანისგან განსხვავებით, ყარაბაღის ომის შემდეგ ახალი ტემპით იკრებს ძალას შიიტური უმრავლესობით დასახლებულ აზერბაიჯანში. პოემა ასევე რეზონანსს იწვევს ირანის მრავალმილიონიან ეთნიკურ აზერბაიჯანელში – მათ სიმპათია გამოხატეს სოციალურ მედიაში. ირანი უკვე შეშფოთებული იყო ირანელი აზერბაიჯანელების სიხარულით, რომელიც ჩრდილოელი ძმების სამხედრო გამარჯვებამ გამოიწვია. მეორე მხრივ, ირანის თამაშგარედ დატოვების ფაქტი ყარაბაღის ზავის შეთანხმების დროს აღაშფოთებს თეირანს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „აზერბაიჯან-სომხეთის კავშირების ნორმალიზაციას „ნეგატიური გავლენა ექნება ირანის სატრანზიტო შესაძლებლობაზე, განსაკუთრებით, საერთაშორისო სანქციების პირობებში. შესაბამისად, რუსეთს „ესმის ირანის შეშფოთების“ ყარაბაღის სამშვიდობო შეთანხმების გამო.[9] რუსეთის შუამავლობით მიღწეული ზავის მიხედვით, უნდა მოიხსნას რეგიონული ბლოკადები და შეიქმნას აზერბაიჯანის ძირითადი ტერიტორიის ნახიჩევანთან დამაკავშირებელი დერეფანი, სომხეთის ტერიტორიის გავლით. ეს ასევე დააკავშირებს აზერბაიჯანსა და თურქეთს უფრო მოკლე გზით, ვიდრე არსებული მარშრუტია, ირანის გავლით. თუ შეთანხმება კარგად შესრულდება, მოხდება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საბჭოთა დროინდელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ ირანის სატრანზიტო მნიშვნელობა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ასევე თურქეთისათვის მნიშვნელოვნად შემცირდება.

საქართველო დისკომფორტის ზონაში

მესამე, როგორც ერდოღანმა განაცხადა, „პუტინი მიესალმება“ მის ინიციატივას კავკასიის თანამშრომლობის ექვსპარტიული პლატფორმის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ირანს, რუსეთსა და თურქეთს.[10] თუმცა თეირანი იმდენად აღაშფოთა პოემის ციტირებამ, რომ უბრალოდ უგულებელყო თანამშრომლობის მოწოდება. ირანის სატრანზიტო როლთან ერთად შემცირდა ამგვარი თანამშრომლობისგან სარგებლის მიღების პოტენციალი. ექვსპარტიული პლატფორმა მოიცავს საქართველოსაც, ჰიპოთეტურად მაინც. საქართველოს პერსპექტივა ამ მიმართულებით ნათელია. მის სატრანზიტო პოტენციალზე უარყოფითი გავლენა ექნება შეთანხმების გარკვეული პუნქტების შესრულებას, კერძოდ, რომლებიც ეხება ბლოკადის მოხსნას. ანალოგიურად, ექვსპარტიული პლატფორმა მომავალში ხელს შეუშლის პოტენციურ ინვესტიციებსა და პროექტებს სომხეთის მიმართულებით. ამ კონტექსტში საქართველოსთვის იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ ის თავს უფრო მშვიდად იგრძნობს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობების გაღრმავებით. აქამდე თბილისს უნდა ეპოვა უხერხული ბალანსი ბაქოსა და ერევანს შორის, რათა შეემცირებინა რისკები.

ამასთან, თბილისმა გამოთქვა აზრი სამმხრივ ფორმატში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. გაურკვეველია თბილისი სამმხრივ თანამშრომლობას ავტონომიურად განიხილავს თუ ექვსპარტიულ პლატფორმაში. ასევე ბუნდოვანია ენდომება საქართველოს ამ ფორმატის ფარგლებში რუსეთთან თანამშრომლობა თუ ამის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება. შედარებისთვის, აზერბაიჯანმა, თავის მხრივ, უგულებელყო ნებისმიერი სახის თანამშრომლობა სომხეთთან კონფლიქტის მიმდინარეობის სამი ათწლეულის განმავლობაში. ამგვარად, საქართველომ შეიძლება უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე, რადგან მის მიმართ მოთხოვნა აქვს – დატოვოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები.

ამრიგად, თბილისისთვის გამოწვევაა, რომ მოსკოვს შესაძლოა მხედველობაში ჰქონდეს ქართული ფაქტორი ყარაბაღის ბოლო შეთანხმებაში: საქართველოს მნიშვნელობის თუნდაც ფარდობითმა შემცირებამ სომხეთისთვის, აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის შესაძლოა გააჩინოს რუსეთთან კავშირების გაზრდის საჭიროება. უფრო დიდი გამოწვევა იქნება საქართველოსთვის დარჩეს დასავ-

ლური ღირებულებებისკენ მიმართულ ბასტიონად რუსული, პრორუსული, არადასავლური და დასავლეთის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მეზობლების გარემოცვაში. ამგვარი დისკომფორტის ზონა საქართველოსგან მოითხოვს დელიკატურ ქცევას, რათა შეამციროს მისთვის თითქმის გარდაუვალი რყევა რეგიონში.

რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობითი მეტოქეობა

ამასთან, რაც მთავარია, მოსკოვისა და ანკარის მოტივები, ექვსპარტიული პლატფორმის ფარგლებში, შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს. მოსკოვი ამ პლატფორმას, სავარაუდოდ, გამოიყენებს ზოგი წევრის, როგორიცაა აზერბაიჯანი, რუსეთზე ორიენტირებულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციისთვის. ამისგან შეიძლება დიამეტრულად განსხვავდებოდეს ანკარის განზრახვა – თავის ორბიტაზე მოაქციოს ცენტრალური აზიის თურქული სახელმწიფოები. ამდენი წლის განმავლობაში ბაქო თავს იკავებდა ევრაზიული კავშირის წევრობისგან იმ მიზეზით, რომ სომხეთთან ერთად ვერ შევიდოდა ალიანსსა თუ ბლოკში. ასეთი ბუნდოვანება და წინააღმდეგობები კავკასიის რეგიონს რთულ ტენდენციებს უქადის.

ამასობაში, როგორც ირკვევა, ანკარა და მოკოვი შეთანხმდნენ რუსულ-თურქული მშვიდობის ერთიანი ცენტრის დეტალებზე, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ყარაბაღის ზავის შესრულებას. რუსი და თურქი სამხედრო მოსამსახურეებისგან შემდგარი ცენტრი გამოიყენებს დრონებსა და ტექნიკურ აღჭურვილობას ზავზე დასაკვირვებლად. ის უნდა განთავსდეს აზერბაიჯანის აგდამის რაიონში, რომელიც სომხეთის ძალებმა საზავო შეთანხმებით გაათავისუფლეს და რომელიც ახლოსაა სომხებით დასახლებულ უმთავრეს ქალაქთან – სტეპანაკერტთან/ხანკენდთან.[11] თურქეთის წარმომადგენლობა ცენტრში და დრონების კონტროლი რუსეთს არ მისცემს ისეთ თავისუფლებას, რაც საქართველოში ჰქონდა, და შექმნის შესაძლებლობას, რომ დროულად შეამჩნიონ რუსეთის რაიმე საეჭვო ან ხიფათის შემცველი მანევრი. ეს ადგილზე ჯერ კიდევ საჭიროებს პრაქტიკულ განხორციელებას. ადგილზე რუსეთ-თურქეთის ერთიანი ცენტრის მოქმედებისა და ძალთა ბალანსზე მისი გავლენის პრაქტიკული მხარე მნიშვნელოვანი იქნება რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური სტატუსკვოს საბოლოო კონტურების გამოსაკვეთად.

დებატები ყარაბაღის ომისა და რეგიონში მასთან დაკავშირებულ რუსეთ-თურქეთის ძალთა ბალანსის შესახებ კვლავ მიმდინარეობს. ექსპერტები და სპეციალისტები ვერ თანხმდებიან რამდენიმე

საკითხზე. კერძოდ, არსებობს შეკითხვები მოსკოვის თავშეკავებულ ქცევაზე ომის დროს და თურქეთის ახალ პროფილზე რეგიონში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა უარყო „ეიფორია“ და „ისტერია“ რუსეთის მიერ კავკასიის თურქეთისთვის დათმობასთან დაკავშირებით.[12] ამის მიუხედავად, მეთიუ ბრაიზა, შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში და ექსთანა-თავმჯდომარე შეერთებული შტატებიდან ეუთოს მინსკის ჯგუფში, რომელსაც ევალება ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრა, მიიჩნევს, რომ თურქეთის ყოფნა აზერბაიჯანში ხელსაყრელია ნატოსთვის: „თურქეთის პოლიტიკური თუ სამხედრო ჩართულობა კავკასიაში ზოგადად კარგია და ვიტყოდი, ერთმნიშვნელოვნად კარგია ნატოს-თვის“.[13] რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აზერბაიჯანში თურქეთის მზარდი როლი დაუკავშირა „საბჭოთა კავშირის დაშლის გეოპოლიტიკურ შედეგებს“.[14] პუტინის გზავნილის მთავარი სამიზნე შესაძლოა იყოს როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორია. ამის შესა-ბამისად, გზავნილის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად შეიძლება, თუმცა – არა ორმხრივად ექსკლუზიური გზით. კერძოდ, თუ სამიზნე შიდა აუდიტორიაა, მაშინ ის ცდილობს გაამართლოს მოსკოვის უუნა-რობა ეფექტურად შეწინააღმდეგებოდა თურქეთის შეჭრას რუსეთის ტრადიციული ინტერესის სფეროში. გარე აუდიტორიის შემთხვევაში, გზავნილი წარმოადგენს გაფრთხილებას დასავლეთისთვის მოსკოვის არასასიამოვნო პრეფერენციის შესახებ, ითანამშრომლოს პოსტსაბ-ჭოთა სივრცეში სხვებთან, როგორებიცაა თურქეთი, ჩინეთი და ირანი, თუმცა არაფრის დიდებით – დასავლეთთან. ეს პრეფერენცია ასევე სიმპტომატურია რუსეთისთვის არაკომფორტული, მტკივნეული და არასასურველი გადასვლისთვის იმპერიული წარსულიდან მომავალში ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისკენ.

მართლაც, თურქეთი მეტად მისაღებია მოსკოვისთვის, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოები, იმ მიზეზით, რომ დასავლეთს შემოაქვს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ღირე-ბულებები, ხოლო თურქეთი ეყრდნობა როგორც ეთნოლინგვისტური წარმომავლობის იდეასა და ისტორიულ კავშირებს, ისე გეოგრაფიულ მეზობლობას რეგიონში. საკუთარი გამოცდილებით სლავურ-მართლ-მადიდებელ უკრაინასა და მართლმადიდებელ საქართველოსთან, რუ-სეთისთვის გასაგებია, რომ რელიგიური, ეთნიკური და კულტურული კავშირები კარგია, თუმცა მოწყვლადი და არაარსებითი. სხვათა შო-რის, რუსულ RBK TV-თან ინტერვიუში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მიანიშნა რუსეთის გამოცდილებაზე უკრაინასა და საქართველოში და აღნიშნა, რომ საერთო ეთნორელიგიურ წარმომა-

ვლობას ყოველთვის არათუ მივყავართ ერთმანეთის მხარდაჭერისა და ნდობისკენ, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით – „ომისკენ“ ან „ინტრიგებისკენ ერთმანეთის წინააღმდეგ“.[15] გარდა ამისა, მოსკოვი დასავლეთის ღირებულებებს აღიქვამს პოტენციურ საფრთხედ, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს „რუსულობას“.

თურქეთის პრიორიტეტი, როგორც ჩანს, არის მისი საგარეო-პოლიტიკური გარიგებებისა და პარტნიორობის დივერსიფიკაცია, მათ შორის, ორ დიდ მეტოქე ძალასთან – მოსკოვთან და ლონდონთან. გარდა ამისა, ერდოღანის განცხადება ექვსპარტიულ პლატფორმაზე უფრო მეტად გამიზნულია დასავლეთზე, რათა უარი ათქმევინოს უფრო მძიმე სანქციების დაწესებაზე.[16] მართლაც, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მიერ გაცხადებული წინასწარი სანქციები ხაზს უსვამს ვაშინგტონისა და ბრიუსელი დილემას – „როგორ შეაკავოს თურქეთის მისწრაფება, გაათავისუფლოს საკუთარი თავი ჩრდილ-ოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბორკილებისგან და გახდეს უფრო ავტონომიური რეგიონული ძალა ერდოღანის რუსეთის მკლავებში ჩავარდნის გარეშე“.[17] უფრო ფართო დაკვირვებით, თურქეთის პოლიტიკა წინააღმდეგობრივი გარიგებებით, მოახდინოს თავისი პარტნიორობების დივერსიფიცირება, არის არა საერთაშორისო მულტილატერალიზმის, არამედ დეცენტრალიზაციის ტენდენციის ნიშნები დასავლეთის კონვენციურ, ტრანსატლანტიკურ საზოგადოებასა და სტრუქტურაში. ჯო ბაიდენის პრეზიდენტობას გაუჭირდება ამ ტენდენციასთან ურთიერთობა.

სამხრეთ კავკასიისა და ადგილობრივი გეოპოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, რეგიონში გეოპოლიტიკური კონფიგურაციებისა და რეგიონული ბალანსის ხელახლა ფორმირება ყარაბაღის ომთან და მასთან დაკავშირებულ საზავო ხელშეკრულებასთან ერთად ხდება. გარე აქტორები, კერძოდ, რუსეთი და თურქეთი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. აზერბაიჯანი და სომხეთი პირდაპირ არიან ჩართული თამაშში, თუმცა – განსხვავებული დოზით. საქართველოს არ უნდა სურდეს თამაშგარედ დარჩენა და ამისთვის უნდა სცადოს, რომ უფრო აქტიური როლი შეასრულოს ახალი ვითარების ჩამოყალიბებაში, კერძოდ, სცადოს სამხრეთ კავკასიის სამმხრივი ფორმატი, სადაც ჩართული იქნება სომხეთიც და აზერბაიჯანიც. ვფიქრობთ, საქართველო უნდა მიუბრუნდეს თავის ისტორიულ როლს, ამ ახალ ვითარებაში თუ სხვა გარემოებაში, როცა

თბილისი იყო როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკების დაბადების ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სიცარიელეს სხვა შეავსებს, საქართველოს კი დაემუქრება თამაშგარედ დატოვების რისკი, ხოლო სამხრეთ კავკასიას – დაშლის გაზრდილი საფრთხე.

ბიბლიოგრაფია

1. Andrey Zubov, «Системное Поражение.» *Aravot*. December 11, 2020. https://www.aravot-ru.am/2020/12/11/346499/ (Accessed on 19.12.2020)
2. *JAMnews*, "Baku Claims Russian Peacekeepers Overstepping their Mandate in Karabakh." December 14, 2020, https://jam-news.net/peacekeeping-mission-expansion-of-geography-of-the-map-karabakh-russia-azerbaijan-comments/ (Accessed on 28.12.2020)
3. Rahim Rahimov. "Perceptions of Russia in Azerbaijan: Challenge for Moscow's Russian Peacekeeping Mission." *Eurasia Daily Monitor.* December 8, 2020. https://jamestown.org/program/perceptions-of-russia-in-azerbaijan-challenge-for-moscows-peacekeeping-mission/ (Accessed on19.12.2020)
4. *Kommersant*. "Ласковое слово и Москве приятно."November 19, 2020. https://www.kommersant.ru/doc/4576168 (Accessed on19.12.2020)
5. "BP Regional President Sends Letter to Prime Minister Ali Asadov."October 19, 2020. https://nk.gov.az/en/document/4858/ (Accessed on 19.12.2020)
6. Ihor Kabanenko. "Ukrainian-UK Defense Cooperation: Will London Have Kyiv's Back?" *Eurasia Daily Monitor.* December 15, 2020. https://jamestown.org/program/ukrainian-uk-defense-cooperation-will-london-have-kyivs-back/?fbclid=IwAR3gaQquE23HfTe0ZfW8asQch311pMXpzPQ1olaZv_-zb2EAK9cilzlER5Y (Accessed on 19.12.2020)
7. *AA*. "Turkey, Ukraine Issue Joint Declaration on Partnership."December 19, 2020. https://www.aa.com.tr/en/europe/turkey-ukraine-issue-joint-declaration-on-partnership/2081954 (Accessed on 19.12.2020)
8. *TehranTimes*. "Iran Summons Turkish Ambassador over Erdogan's Poem on Territorial Integrity." December 11, 2020. https://www.tehrantimes.com/news/455644/Iran-summons-Turkish-ambassador-over-Erdogan-s-poem-on-territorial (Accessed on 19.12.2020)
9. "Foreign Minister Sergey Lavrov's Interview with the Islamic Republic of Iran Broadcasting." December 12, 2020. https://www.mid.ru/en/web/guest/adernoe-nerasprostranenie/-/asset_publisher/JrcRGi5UdnBO/content/id/4483330 (Accessed on 19.12.2020)
10. *Hurriyet*. "Turkey Proposes 6-way Caucasus Platform for Peace and Stability." December 11, 2020. https://www.hurriyetdailynews.com/turkey-to-be-patient-and-see-what-trend-emerges-after-biden-takes-office-erdogan-160776(Accessed on 19.12.2020)

11. *TASS*. “Russian-Turkish Monitoring Center to be Set Up in Agdam District – Aliyev.”December 12, 2020. https://tass.com/world/1234369 (Accessed on 19.12.2020)

12. *РБК*. “Лавров назвал «диванной аналитикой» мнения о потере Россией Кавказа.” November 12, 2020. https://www.rbc.ru/rbcfreenews/5fad16259a7947ff4a7c955d? (Accessed on 19.12.2020)

13. Ragip Soylu, “Why Turkey Returned to the Caucasus after a Hundred Years.”*Middle East Eye*. December 11, 2020. https://www.middleeasteye.net/news/turkey-azerbaijan-armenia-caucasus-return-why (Accessed on 19.12.2020)

14. Vladimir Putin. “Replies to Media Questions on Developments in Nagorno-Karabakh.” November 17, 2020. http://kremlin.ru/events/president/news/64431 (Accessed on 19.12.2020)

15. “Interview of Russian RBC TV Channel with President of Azerbaijan Ilham Aliyev”. October 10, 2020. https://en.president.az/articles/42449 (Accessed on 19.12.2020)

16. *Presidency of the Republic of Turkey, Directorate of Communications*. “President Erdogan Holds an Interview with Media Representatives on His Visit to Azerbaijan.” December 11, 2020. https://www.iletisim.gov.tr/english/haberler/detay/president-erdogan-holds-an-interview-with-media-representatives-on-his-visit-to-azerbaijan(Accessed on 19.12.2020)

17. *The Wall Street Journal*. “U.S., EU to Impose New Sanctions on Turkey over Missile System, Energy.” December 10, 2020. https://www.wsj.com/articles/eu-to-impose-new-sanctions-on-turkey-officials-over-energy-activities-in-eastern-mediterranean-11607648191(Accessed on 19.12.2020)